მე მაქვს უფლებები, შენ გაქვს უფლებები, მას აქვს უფლებები...

ბავშვის უფლებების გაგება

ყველას აქვს უფლებები. მეტიც, შენ, თუნდაც 18 წლამდე ასაკის გოგოს თუ ბიჭს, გაქვს გარკვეული უფლებები. ეს უფლებები ჩამოთვლილია გაერო-ს 1989 წლის ბავშვის უფლებათა კონვენციაში. აქვე აღნიშნულია, რა ღონისძიებებს უნდა მიმართონ სახელმწიფოებმა, რომ დაგეხმარონ ამ უფლებათა განხორციელებაში.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

შენი სიცოცხლე, დაცვა და განვითარება

- შენი უფლებაა, გქონდეს ინტერესები, რომლებიც დაცული იქნება შენთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს. ამასთან, დაუშვებელია ამ ინტერესთა შელახვა, მაგალითად, შენი წარმოშობის, თვალსაზრისის, რწმენისა ან სქესის გამო.
- შენ გაქვს სიცოცხლის უფლება, აგრეთვე დაბალანსებული და ჯანმრთელი ფიზიკური, ფსიქიკური, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარების უფლება.
- შენი უფლებაა, უზრუნველყოფილი გქონდეს უმთავრესი საჭიროებები, როგორიცაა საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი და ზრუნვა ჯანმრთელობაზე.
- შენი უფლებაა, დაცული იყო ექსპლუატაციის, ბოროტად გამოყენების, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ნებისმიერი ფორმისაგან, მათ შორის, ოჯახებსა და ბავშვთა მოვლა-პატრონობის დაწესებულებებში.
- შენ გაქვს უფლება, მიიღო უმაღლესი ხარისხის განათლება, რათა უზრუნველყო შენი პიროვნების, ნიჭისა და შესაძლებლობების რაც შეიძლება სრული განვითარება. მიღებული განათლებით უნდა ისწავლო სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა, მოემზადო თავისუფალ საზოგადოებაში შეგნებული ცხოვრებისათვის, ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, ყველა ხალხის თანასწორობისა და მეგობრობის სულისკვეთებით.
- შენი უფლებაა, მიიღო ფართო სპექტრის ობიექტური ინფორმაცია.
- თუ გაქვს ფიზიკური ან ფსიქიკური შეზღუდულობა, გაქვს უფლება, იცხოვრო ღირსეულად ისე, რომ ინტეგრირებული იყო საზოგადოებაში, განავითარო შენი პიროვნება და ისარგებლო მაქსიმალური დამოუკიდებლობით.
- შენ გაქვს დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება, თამაშობების, გასართობი, შემოქმედებითი თუ კულტურული ღონისძიებების უფლება შენი ასაკისათვის შესაფერ გარემოში, შენივე უფლებების პატივისცემით.

შენი ინდივიდუალობა, პირადი ცხოვრება და ოჯახი

- შენ გაქვს სახელის, მოქალაქეობისა და ინდივიდუალობის დაცვის უფლება. თუ მიეკუთვნები ეროვნულ, რელიგიურ ან ენობრივ უმცირესობას, გაქვს უფლება, არ დაკარგო საკუთარი კულტურული ცხოვრება, რელიგიის აღიარებისა და მშობლიური ენის გამოყენების უფლება;
- შენ გაქვს პირადი ცხოვრების დაცვის უფლება. არავის არ შეუძლია უკანონოდ ჩაერიოს შენს, ან შენი ოჯახის პირად ცხოვრებაში. შენი საცხოვრებელი ბინა, კორესპონდენცია, ღირსება და რეპუტაცია დაცულია კანონით;
- მშობლებს აქვთ საერთო პასუხისმგებლობა შენს აღზრდასა და განვითარებაზე. მათი უფლება და მოვალეობაა, გასწავლონ, როგორ გამოიყენო შენი უფლებები და პატივი სცე შენს მოვალეობებს;
- შენ გაქვს უფლება იცოდე, ვინ არიან შენი მშობლები და აღიზარდო მათ მიერ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება შენს ინტერესებს;
- შენ გაქვს უფლება იცოდე, სად არიან შენი მშობლები და წახვიდე სხვა ქვეყანაში, რომ შეუერთდე მათ. შენს მშობლებს აქვთ იგივე უფლება შენს წინაშე;
- მშობლებთან დაშორების შემთხვევაში, გაქვს უფლება, მონაწილეობა მიიღო ყველა გადაწყვეტილებაში, რაც უკავშირდება შენს ურთიერთობას მშობლებთან. თუ დაშორებული ხარ მშობლებს, ან ერთ-ერთ მათგანს, გაქვს უფლება, რეგულარულად მოინახულო ისინი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება შენს ინტერესებს;
- შვილად აყვანის უფლება შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შენს ინტერესებშია.

შენი თავისუფლებები

- აზრის თავისუფლება: შენი უფლებაა, გქონდეს შენი აზრი ყველაფერზე, რაც შეგეხება, რა წუთსაც კი შეძლებ ეს აზრი ჩამოიყალიბო. შენი აზრი უნდა გაითვალისწინონ;
- გამოხატვის თავისუფლება: შენი უფლებაა, თავისუფლად გამოხატო შენი აზრი, მოიძიო, მიიღო და გაავრცელო ინფორმაცია;
- ასოციაციებით სარგებლობის უფლება: შენი უფლებაა, გაერთიანდე სხვა ადამიანებთან და მონაწილეობა მიიღო შეხვედრებში.

ამ თავისუფლებებს აქვთ შეზღუდვები. შენ პატივი უნდა სცე სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს, არ უნდა შეუქმნა საფრთხე საზოგადოებას თუ საკუთარ თავს.

შენ და სახელმწიფო

- სახელმწიფომ უნდა გააკეთოს ყველაფერი, რაც კი აუცილებელია შენთვის დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების განსახორციელებლად;
- სახელმწიფომ უნდა დაგიცვას და უზრუნველყოს შენი კეთილდღეობა. ის უნდა დაეხმაროს შენს მშობლებსა თუ სხვა პირებს, რომლებიც გპატრონობენ, შესაბამისი დაწესებულებებისა და სამსახურების შექმნის გზით, რომლებიც იზრუნებენ შენს ინტერესებსა და კეთილდღეობაზე;
- სახელმწიფო უნდა გიცავდეს და გეხმარებოდეს იმ შემთხვევაში, თუ არ შეგიძლია შენს ოჯახთან ერთად ცხოვრება. მან უნდა მონახოს გამოსავალი შენი წარსულისა და კულტურის გათვალისწინებით, თან, უნდა მოგეცეს უფლება, რომ შენი მდგომარეობა მუდმივად გადაისინჯოს;
- სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები შენს დასაცავად საფრთხისაგან, რომელიც უკანონო ნარკოტიკულ საშუალებებს უკავშირდება;
- თუ გახდი ძალადობის მსხვერპლი, სახელმწიფო უნდა დაგეხმაროს და ხელი შეგიწყოს, რომ დაუბრუნდე ნორმალურ ცხოვრებას;
- შენ გაქვს მართლმსაჯულების უფლება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მართლმსაჯულების სისტემა ერგებოდეს შენს განსაკუთრებულ უფლებებსა და საჭიროებებს;
- დაუშვებელია, გახდე წამების ან სასტიკი ან ღირსების შემლახველი სასჯელის მსხვერპლი;
- დაუშვებელია, შეგეფარდოს სიკვდილით დასჯა ან მუდმივი პატიმრობა;
- დაუშვებელია, დაგაპატიმრონ უკანონოდ. დაკავება უნდა იყოს უკიდურესი ზომა. ის უნდა იყოს რაც შეიძლება ხანმოკლე და ითვალისწინებდეს შენს საჭიროებებსა და ასაკს. თავისუფლების აღკვეთისას აუცილებლად უნდა იყო დაკავებული უფროსებისაგან განცალკევებით და გქონდეს უფლება, იქონიო კავშირი ოჯახთან, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, შენივე ინტერესებიდან გამომდინარე;
- ომის დროს სახელმწიფომ უნდა დაგიცვას და დაგიფაროს. 15 წლამდე ასაკში დაუშვებელია, გაგიწვიონ შეიარაღებულ ძალებში.

საერთაშორისო კონვენცია - ეს არის ხელშეკრულება სახელმწიფოებს შორის. ასეთი ხელშეკრულებები ადგენენ წესებს, რომლებსაც სახელმწიფოები უნდა ემორჩილებოდნენ. ამასთან, მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიიღონ ზომები, რაც მეტად ლმობიერი იქნება ბავშვებისათვის. თუ ქვეყნის კანონმდებლობა უფრო ლმობიერია შენს მიმართ, ვიდრე კონვენცია, მაშინ შენს მიმართ უნდა გამოიყენებოდეს ქვეყნის კანონმდებლობა.

საერთაშორისო ორგანიზაციები და შენ

სახელმწიფოები ქმნიან აურაცხელი რაოდენობის საერთაშორისო ორგანიზაციას. ზოგიერთი მათგანი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს მსგავსად, დაარსდა ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, კონფლიქტების პრევენციისა და უფრო სამართლიანი, მეტად შეძლებული და დემოკრატიული საზოგადოებების შექმნის მიზნით. სწორედ ამ ორგანიზაციების შექმნილია თითქმის ყველა საერთაშორისო კონვენცია. ეს ორგანიზაციები იღებენ ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სახელმწიფოები პატივს სცემდნენ დაწესებულ უფლებებს. ბავშვის უფლებათა კომიტეტი თვალყურს ადევნებს გაერო-ს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის გამოყენებას. შენ შეგიძლია, გაეცნო კომიტეტის რეკომენდაციებს შენი ქვეყნის მიმართ. ბავშვებს შეუძლიათ აგრეთვე მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. მაგალითად, სასამართლომ დამნაშავედ სცნო ერთი სახელმწიფო იმის გამო, რომ არ იცავდა ბავშვებს ფიზიკური დასჯისაგან ციხეში, სკოლასა და სახლში. სხვა ქვეყნის შემთვევაში კი აღმოჩნდა, რომ ყურადღება არ მიუქცევიათ გოგონასთვის, რომელიც მარტო მოგზაურობდა.

რა ხდება მაშინ, თუ ამ უფლებებს პატივს არ სცემენ?

ამ უფლებათა აღსრულება შეიძლება შეიზღუდოს საპატიო მიზეზების გამო, მაგალითად, მნიშვნელოვანი საფრთხისაგან შენი დაცვის მიზნით, ან შენი სიმწიფისა თუ ასაკის გათვალისწინებით. ზოგიერთი უფლება არასოდეს არ უნდა შეიზღუდოს, თვით მშობლებისა ან მასწავლებლების მიერაც კი. ეს უფლებებია: სიცოცხლის, განათლების, ჯანმრთელობის და ძალადობის ან ექსპლუატაციისაგან დაცვის უფლება. თუ ფიქრობ, რომ შენი უფლებები დაირღვა, შეგიძლია:

- დაელაპარაკო ნდობით აღჭურვილ პირს, როგორიცაა შენი მშობელი, მასწავლებელი, ექიმი, მეგობრები, სოციალური სამსახურის თანამშრომლები ან ადამიანი, რომელიც გპატრონობს;
- დაელაპარაკო ნდობით აღჭურვილ პირს, როგორიცაა შენი მშობელი, მასწავლებელი, ექიმი, მეგობრები, სოციალური სამსახურის თანამშრომლები ან ადამიანი, რომელიც გპატრონობს;
- მიმართო პოლიციას, აღძრა საჩივარი და სახელმწიფოს სთხოვო დაცვა;
- დაუკავშირდე ბავშვთა ომბუდსმენს ან მოხალისეთა ასოციაციას, რომელიც იცავს ბავშვთა უფლებებს;
- ან, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება მიმართო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

ევროპის მშენებლობა ბავშვებისათვის და ბავშვებთან ერთად

ევროპის საბჭო

ევროპის საბჭო არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1949 წელს და ამჟამად აერთიანებს 47 წევრ სახელმწიფოს. მისი როლია ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერა. იგი ადგენს მთავარ დემოკრატიულ პრინციპებს, რომლებიც ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და სხვა კონვენციებსა თუ რეკომენდაციებს ადამიანთა დაცვის შესახებ, რომელთა შორისაც, რასაკვირველია, არის ევროპის 150 მლნ. ბავშვი.

პროგრამა „ევროპის მშენებლობა ბავშვებისათვის და ბავშვებთან ერთად" მიზნად ისახავს ბავშვთა უფლებების მხარდაჭერას და მათ დაცვას ძალადობისაგან. პროგრამის სამუშაო ჯგუფი განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ძალადობა ოჯახსა და სკოლაში, ადამიანის უფლებათა სწავლება, ბავშვები და ინტერნეტი, ბავშვები და მართლმსაჯულების სისტემა. ჩვენი კონვენციების, შეხვედრებისა და გამოცემების შესახებ მეტი ინფორმაციისათვის შეიძლება იხილოთ ჩვენი ვებ-გვერდი და ინტერნეტ თამაში „გასეირნება ულრან ვებ ტყეში".

"ევროპის მშენებლობა
ბავშვებისათვის და
ბავშვებთან ერთად"
ევროპის საბჭო
F-67075 სტრასბურგი Cedex
www.coe.int/children
children@coe.int

ეს დოკუმენტი შემუშავებულია ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.

SWE– © ევროპის საბჭო – ილუსტრაცია: Eric Puybaret